ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 111/გ

ქ. მცხეთა 18 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ტასუკა 2011", შემდგომში „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ ქურდაძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ელექტრო მრიცხველის (170 ლარი) და ელექტრო კაბელის (105 ლარი) შესყიდვა. (CPV38552000) (CPV31321210).ინვოისი თან ერთვის

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა არაუგვიანეს 2016 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 275 (ორასსამოცდათხუთმეტი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება- ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

41 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 მიაწოდოს მაღალი ხარისხის საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მისაწოდებელი საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი ოთარ ჩიღოშვილი.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"	„შემსყიდველი"
შპს „ტასუკა 2011"	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კოდი: 401955988	ს/კოდი: 236098824
ბანკი: „პროკრედიტ ბანკი"-ს	ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ MIBGGE22	ბ/კ TRESGE22
ა/ა GE88PC0223600100010635	ა/ა GE24NB0330100200165022
მის: ქ. თბილისი,მ. ბუხაიძის ქ. N14	მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. #7
დირექტორი	მუნიციპალიტეტის გამგებელი
გ. ქურდაძე	ზ. აბესაძე